ეროვნული ბიბლიოთეკა

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

ევროპული კომისია დემოკრატიისათვის

სამართლის მეშვეობით

(ვენეციის კომისია)

ინფორმაცია ამომრჩეველთათვის

იბეჭდება საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით

<u>არჩევნებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში დემოკრატიული განვითარებისათვის.</u>

<u>არჩევნები უნდა ჩატარდეს მკაცრი წესების მიხედვით. კერძოდ, დაცული უნდა იყოს შემდეგი პრინციპები:</u>

- ხმის მიცემა უნდა ხდებოდეს ინდივიდუალურად: აკრძალულია სხვის მაგივრად ხმის მიცემა;
- ხმის მიცემა ფარულია: არავინ უნდა იცოდეს, თუ რომელ საარჩევნო სუბიექტს მიეცით ხმა.

<u>I. არჩევნების წინ</u>

<u>კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად უნდა იყოთ რეგისტრირებული ამომრჩეველთა სიებში!</u>

გირჩევთ, <u>ა.წ. 19 ოქტომბრამდე</u> საარჩევნო კომისიებში შეამოწმოთ:

- ნამდვილად არის თუ არა თქვენი სახელი და გვარი ამომრჩეველთა სიებში; ასევე სწორად არის თუ არა მითითებული თქვენი დაბადების თარიღი და მისამართი;
- რომელ საარჩევნო უბანში უნდა მიიღოთ მონაწილეობა კენჭისყრაში;
- საარჩევნო უბანში კენჭისყრის დაწყებისა და დამთავრების დრო (08.00-20.00)

<u>თუ არ ხართ შეყვანილი ამომრჩეველთა სიებში, მოითხოვეთ ამის გამოსწორება; გაიგეთ, თუ რა პროცედურებია შესასრულებელი და რა დოკუმენტებია ამისთვის საჭირო.</u>

<u>ავადმყოფობის ან სხვა შემთხვევაში, როდესაც არ შეგიძლიათ საარჩევნო უბანში მისვლა:</u>

- კენჭისყრამდე 5 დღით ადრე დაუკავშირდით საუბნო საარჩევნო კომისიას, გაიგეთ თუ რა პროცედურაა შესასრულებელი იმისთვის, რომ შეძლოთ კენჭისყრაში მონაწილეობა და მოითხოვეთ გადასატანი საარჩევნო ყუთი.

<u>I. არჩევნების დღე</u>

1. მიბრძანდით საარჩევნო უბანზე თქვენი პირადობის დამადასტურებელი რომელიმე საბუთით;
2. მიბრძანდით საარჩევნო კომისიის წევრთან, რომელიც მოვალეა შეამოწმოს თქვენი პირადი მონაცემები;
3. საარჩევნო კომისია ამოწმებს თქვენს პირად მონაცემებს და ხართ თუ არა რეგისტრირებული საარჩევნო სიაში, რის შემდეგაც, გადმოგცემთ საარჩევნო ბიულეტენს;
4. შებრძანდით ფარული ხმის მიცემის კაბინაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

n 113/1573 PX 4599/1

5. ფარული ხმის მიცემის კაბინაში **პირადად** შეავსეთ საარჩევნო ბიულეტენი;
6. დაკეცეთ საარჩევნო ბიულეტენი ისე, რომ არავინ დაინახოს თუ ვის მიეცით ხმა;
7. ფარული ხმის მიცემის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ თქვენ გადმოგეცემათ საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ ბეჭდით დამოწმებული სპეციალური კონვერტი, რომელშიც ჩადებთ საარჩევნო ბიულეტენს;
8. **თქვენ თვითონ** მოათავსეთ საარჩევნო ბიულეტენი ყუთში; სხვა არავინ უნდა შეეხოს მას;
9. **ხმის მიცემისთანავე** დატოვეთ საარჩევნო უბანი. დაუშვებელია საარჩევნო უბანში გაჩერება ხმის მიცემის შემდეგ.

ამ წესების დაცვით თქვენ ხელს შეუწყობთ იმას, რომ არჩევნების დღე გახდეს დემოკრატიის გამარჯვების საწინდარი.

ევროპის საბჭოს პროექტის "ავამოქმედოთ დემოკრატიული ინსტიტუტები" მხარდაჭერით

© ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში - www.coe.ge